ა.ა.ი.პ
ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება

N.P.L.E
CHILD, FAMILY, SOCIETY

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას
გამზ.76ბ

vazha-phshavelas av76, Tbilisi 0186 , Georgia.
Tel: (995 32) 2140012

Dcfs.georgia@gmail.com

21.10.2020
N 00155

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ჭავჭავაძეს

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ორგანიზაცია ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება'' ახორციელებს სერვისებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირებისათვის, კერძოდ : ორგანიზაციის ბაზაზე მიმდინარეობს ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა 0-7 წლამდე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის, ასევე დღის ცენტრის მომსახურება 6-18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებისათვის, დღის ცენტრის მომსახურება 18+ შშმ პირებისათვის.

დღეს, დღის მეორე ნახევარში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ თანამშრომელს დაუდასტურდა კოვიდ 19 ვირუსი, რომელსაც ხუთშაბათს საღამოს ჰქონდა დაბალი სიცხე, თუმცა პარასკევს 16.10.2020-ში იმყოფებოდა სამსახურში, არ ქონია სიცხე და ჰქონდა კონტაქტი სხვა თანამშრომლებთან. ზემო თქმულიდან გამომდინარე, გვიწევს დროებით ცენტრის დახურვა და თანამშრომელთა თვითიზოლაციაში გადაყვანა. შექმნილი მდგომარეობა, მძიმედ აისახება ბენეფიციართა ფსიქო-ემოციურ ფონზე. ვფიქრობთ, არ მივატოვოთ ბენეფიციარები და მათი ოჯახები ამ სტრესულ სიტუაციაში და განვაგრძოთ ონლაინ მუშაობა. რაზეც ვითხოვთ თქვენს ნებართვას.

მოგმართავთ თხოვნით, დაგვრთოთ ნება, რათა მუშაობა განვაგრძოთ დისტანციურ რეჟიმში, მითუმეტეს, რომ ორგანიზაციას შემუშავებული და დატესტილი აქვს ონლაინ მუშაობის მოდიფიცირებული პროგრამები და აქვთ მზაობა ამისათვის.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „ბავშვი, ოჯახი საზოგადოების"

თავმჯდომარე

მაია ბიბილეიშვილი